შალვა კერესელიძე

საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაციის ძირითადი ტენდენციები და მოსალოდნელი შედეგები

შალვა კერესელიძე
სტუ-ს დოქტორანტი

საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების ტრანსფორმაციის მეტად რთულ პერიოდში უმნიშვნელოვანესი როლი შეიძინა მრავალმხრივმა ურთიერთობებმა მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან, რეგიონულ და საერთაშაროსო გაერთიანებებთან. მაშინ როდესაც საქართველოში ყალიბდება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, დასავლური მოდელი არა მხოლოდ თვალსაჩინო და მისაბაძი მაგალითის, არამედ აგრეთვე რეალური მხარდაჭერის როლს უნდა ასრულებდეს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოშობილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის აუცილებელი გახდა ძირეული ეკონომიკური რეფორმების გატარება. აგრეთვე, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება მეზობელ (რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი), და საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან. საქართველოში რეფორმების განხორციელება წარმოუდგენელი იყო დასავლეთის ენერგიული მხარდაჭერის გარეშე.

საერთოდ 1990-იანი წლებიდან საქართველო მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების ინტერესების სფეროში მოექცა. დამოუკიდებელ საქართველოს მიეცა შესაძლებლობა იყოს დამაკავშირებელი ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

საქართველო 20 წელზე მეტია, იმყოფება პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის ურთულეს პროცესში. ცვლილებები და ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები მთელი ამ ხნის განმავლობაში წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. ტრანსფორმაციის პერიოდში, სხვადასხვა ეტაპზე, ხელისუფლების მიერ ნებისმიერი რეფორმის გატარებისას, იქნებოდა ეს რეფორმა ზოგადი თუ კონკრეტული, ხდებოდა სხვადასხვა უცხოური წარმატებული მოდელების, როგორც მაგალითის, მოშველიება.

პოსტსოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმაცია განსხვავებული ტრაექტორიით წარიმართა. მსგავსი სასტარტო პირობებიდან ამ ქვეყნებმა, სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორის ზეგავლენით, განვითარების განსხვავებულ დონეს მიაღწიეს. საკმარისი დრო გავიდა საიმისოდ, რომ შეფასდეს ტრანსფორმაციის პროცესი, მისი დინამიკა და მახასიათებლები იმის გათვალისწინებით, თუ რა ამოცანები იყო დასახული და რა შედეგები მივიღეთ.

საწყის ეტაპზე პოსტსოციალისტური ქვეყნების მოდერნიზაცია, ანუ ძველიდან ახალ სისტემაზე გადასვლა, გაიგივებული იყო დასავლური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობასთან. თავის მხრივ, ეს, ძირითადად, დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას გულისხმობდა. ამ ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური კომპონენტების გარდა ტრანსფორმაციის პროცესს თან ახლდა სოციალური, კულტურული, მენტალური, ფასეულობითი და ა.შ. განზომილებებიც, რომელთა ერთობლიობამ დროთა განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში განვითარების განსხვავებული კურსი ჩამოაყალიბა.

თუმცა, ორ ათეულ წელზე მეტი პერიოდის შემდეგაც, განსხვავებული კურსის, ფაზებისა და გარღვევების მიუხედავად, ეკონომიკური პოლიტიკის შედეგიანობის თვალსაზრისით, რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, რაც მოქალაქეთა ცხოვრების დონის თვალსაჩინო გაუმჯობესებას და ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფას უკავშირდება.

1990-იანი წლები იყო ყველაზე რთული პერიოდი, რომელიც დაიწყო ეთნოკონფლიქტებით და სამოქალაქო დაპირისპირებით. ამას ერთვოდა ფინანსური კრიზისიც. მართალია, შემდგომში კრიზისი დაიძლია, მაგრამ გარდაქმნის პროგრამებმა ვერ უზრუნველყო ქვეყნის

განვითარება.

საქართველოში, ისევე, როგორც პოსტსოციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში, ეკონომიკური გარდაქმნის სტრატეგიული გზა ძირითადად ემყარებოდა ევოლუციური განვითარების მოლოდინს, საბაზრო კანონებთან თანდათანობით ადაპტირებას, რასაც შედარებით ნაკლები რყევები უნდა გამოეწვია. თუმცა, სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, ეკონომიკა საბაზრო შოკში აღმოჩნდა და რადიკალური ცვლილებების გატარება მოითხოვა.

ეკონომიკის მკვლევრები განსხვავებულად აფასებდნენ ასეთ მოვლენებს. აქცენტები გადატანილი იყო ქვეყნების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ თავისებურებებზე და მიზანშეწონილად მიჩნევდნენ გარდაქმნის განსხვავებული სტრატეგიების დანერგვას ან დომინანტურ როლს ანიჭებდნენ იმ საერთო პოსტულატებს, რომელიც "ვაშინგტონის კონსენსუსის" სახელწოდებით გახდა ცნობილი და რომელიც თავდაპირველად 1980-იანი წლების ბოლოს ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის შეიქმნა. გარდამავალ ეტაპზე ახალი ეკონომიკური აზროვნებაც წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ძველ სტერეოტიპულ აზროვნებასთან.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური გარდაქმნების საწყის ეტაპზე განისაზღვრა ეკონომიკის ტრანსფორმაციის ორი გზა: ევოლუციური და ე.წ. "შოკური". ისინი ემყარებოდა ევოლუციური და რევოლუციური გარდაქმნების შესაძლებლობებს. ორივე მიმართულებას ჰქონდა არგუმენტები. "შოკურ თერაპიას" ძირითადად მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ფასების ლიბერალიზაციისათვის მიიჩნევდნენ მიზანშეწონილად, ხოლო სხვა სფეროებში, მაგალითად, ვაჭრობის, მეწარმეობის და სოციალურ სფეროებში, რეფორმებს უფრო ხანგრძლივი პერიოდით განსაზღვრავდნენ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად ემხრობოდა საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით, „გრადუალურ" გადასვლას. თუმცა, გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკა 1990-იანი წლების დასაწყისში, პრაქტიკულად, შოკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ამან მოითხოვა რადიკალური ცვლილებების გატარება.

ნეოკლასიკურ ეკონომიკაზე დაფუძნებული რევოლუციური, ე.წ. „შოკური" მიდგომა მოითხოვს ტრანსფორმაციის განხორციელებას ლიბერალიზაციის, სტაბილიზაციისა და სტრუქტურული ტრანსფორმაციის გზით. ევოლუციური მიდგომა ინსტიტუციალიზმსა და პოსტკეინზურ მიდგომებს ეყრდნობა და მოითხოვს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ქვეყნისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით გზით, რაც, ფაქტობრივად, მის თანდათანობით ტრანსფორმაციას ითვალისწინებს. ამ კრიტერიუმით მეცნიერ-ეკონომისტები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ეკონომიკურ რეფორმებში „შოკის" მომხრეებად და „გრადუალისტებად".

როგორც შემდგომ გამოვლინდა, არც ერთი მიმართულება არ იყო დაზღვეული რისკებისაგან. ქართულ რეალობაში ეკონომიკური პოლიტიკის ნაბიჯები ორივე მიმართულების ერთობლიობას ითვალისწინებდა.

ეკონომიკური ლიბერალიზაცია გულისხმობდა: ფასების ლიბერალიზაციას, საწარმოებზე სახელმწიფო კონტროლის გაუქმებას და თავისუფალ საგარეო ვაჭრობას; სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებაში გადაცემას პრივატიზების გზით; მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ფულადი მასის რეგულირებით და საკრედიტო ინსტიტუტების რეფორმირებით.

ამ უმთავრესი მიზნისა და ამოცანის გარშემო უნდა მოხდეს მთელი ღონისძიებების განსაზღვრა და აქ ვგულისხმობთ:

- შიდა სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს
- ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობის სრულიად ახალ მოდელს ობიექტური რეალობიდან გამომდინარე
- ახლო სამეზობლო პოლიტიკას
- რეგიონულ და გლობალურ პოლიტიკას

კრიზისის დაძლევაში განსაკუთრებული ფუნქცია უნდა განესაზღვროს ეკონომიკური სივრცის გაფართოებისაკენ მიმართულ პროექტებს, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის კულტურულ ფაქტორს. ეკონომიკურმა და კულტურულმა სივრცემ აუცილებლად უნდა გადაფაროს საქართველოს დღევანდელი ფაქტიური პოლიტიკურ-გეოგრაფიული სივრცე. ასეთი კურსის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის გამთლიანების იდეის ხორცშესხმა, მისი ეკონომიკური პროგრესი.

უმთავრესი ფაქტორი, რამაც უნდა განსაზღვროს ყოველივე ზემოთქმულის მიღწევა ესაა თანამედროვე მსოფლიოს კარგახსნილობა.

ღია ეკონომიკური სივრცე არ შეიძლება არ გამოვიყენოთ ეფექტიანად. ამაში ვგულისხმობთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად და ინტენსიურად განვითარდეს კოოპერირების პოლიტიკა მოწინავე, უცხოურ, ნებისმიერი ზომის ეკონომიკურ სუბიექტებთან, აუცილებელია ექსპორტ-იმპორ-

ტისა ლიბერალიზაცია, ასევე საბაჟო პროცედურებისა და საგადასახადო სისტემის.

ღია ურთიერთობათა კონტექსტში უნდა განვიხილოთ ადეკვატური საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც მაქსიმალურად გაათავისუფლებს ეკონომიკურ ურთიერთობებს ბიუროკრატიული ბარიერებისაგან.

სწორად გლობალურ და ინოვაციურ ფაქტორთა პოზიტივებმა უნდა მოგვცეს თანამედროვე ეკონომიკური სისტემის შექმნის შესაძლებლობა, მხოლოდ ამისკენ უნდა მოვმართოთ მთელი საზოგადოებრივი ენერგია.

THE MAIN TENDENCIES AND EXPECTED CONSEQUENCES OF ECONOMIC TRANSFORMATION OF GEORGIA

SHALVA KERESELIDZE
PhD of GTU

In very difficult period of transformation Georgia's governmental development, the important role of state was that it consumed world's highly developed countries, multilateral, regional and international associations. While in Georgia is formed free market economy, infrastructure requirements, the Western model is not only obvious and imitation example, but also must perform thr role of real support.

Open relationships should be considered in the context of the creation of an adequate legal framework, which is exempt from the economic relations of bureaucratic barriers.

Positive factors in global and innovative way to give us the opportunity to create a modern economic system, only to be moved all the energy.